ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6524728

ნომერი: AR1972891

თარიღი : 18.06.2023

გაცემის თარიღი : 23.06.2023

გაცნობის თარიღი : 28.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ , კორპუსი N35 -ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის , მიკრო/რაიონი IV , N4 და N5 კორპუსების მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი IV , კორპუსი 36 , მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერი სხირტლაძე პ/ნ 01008055594
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 51 კორ. 4 ბ. 116

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2023 წლის 18 ივნისის NAR1972891 განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ 2023 წლის 11 იანვრის NAR1943343 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ნინო

ნორაკიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, N01.14.16.009.304 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. საკითხის შესწავლის შედეგად, მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
